ცენტრალური ზონისთვის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2023-2025 წლების გეგმის

2025 წლის იანვარ-ივნისის მონიტორინგის ანგარიში

სარჩევი

მოკლე შეჯამება 3

შესავალი 4

ზოგადი პროგრესი 6

- დეტალური პროგრესი 1.1 ამოცანასთან დაკავშირებით 9
- დეტალური პროგრესი 1.2 ამოცანასთან დაკავშირებით 11
- დეტალური პროგრესი 1.3 ამოცანასთან დაკავშირებით 12
- დეტალური პროგრესი 1.4 ამოცანასთან დაკავშირებით 14

გამოწვევები და რეკომენდაციები 15

კონსოლიდირებული სტატუსანგარიში 16

მოკლე შეჯამება

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 აგვისტოს N1431 განკარგულებით დამტკიცებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2023-2025 წლების გეგმა ცენტრალური ზონისთვის წარმოადგენს სექტორული მიმართულების პოლიტიკის დოკუმენტს. გეგმა მიზნად ისახავს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და მართვის ცენტრალურ ზონაში, რომელიც მოიცავს ქვემო და შიდა ქართლის რეგიონსა და მცხეთის მუნიციპალიტეტს, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს სამოქმედო გეგმის აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაციას 2025 წლის 1 იანვრიდან - 2025 წლის 30 იანვრამდე პერიოდს. ანგარიშის პროექტი განხილული და შეთანხმებულ იქნა ცენტრალური ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით განხორციელდა სამოქმედო გეგმის აქტივობათა 30% (8 აქტივობა). აგრეთვე, საანგარიშო პერიოდის დასასრულს მეტწილად შესრულდა აქტივობების 30% (8 აქტივობა), ხოლო ნაწილობრივ შესრულდა - 33% (9 აქტივობა). არ დაწყებულა 2 აქტივობის განხორციელება. საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელების პროგრესმა შეადგინა 63%.



ამოცანების ჭრილში განხორციელებული აქტივობების მიხედვით საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა 1.2 ამოცანაში, ხოლო პასუხისმგებელი უწყებების ჭრილში მნიშვნელოვანი წინსვლა აქვთ მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებს და სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ მნიშვნელოვან აქტივობებს შორის აღსანიშნავია ცენტრალურ ზონაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, განხორციელდა 231 საქმიანობის

სუბიექტის 248 ინსპექტირება, მათ შორის, 29 ინსპექტირება ქ. რუსთავში. ამასთანავე, ცენტრალური ზონის მუნიციპალიტეტებმა ჩაატარეს 145 ინსპექტირება ამტვერებადი მასალის დამუშავების, განთავსებისა და ტრანსპორტირების წესების ზედამხედველობის მიზნით. საანგარიშო პერიოდში ქ. რუსთავში რეგულარულად მიმდინარეობდა ქუჩების სველი წესით დამუშავება 25 კმ სიგრძეზე. ცენტრალურ ზონის ავტოგასამართი სადგურიდან აღებულ იქნა დიზელის და ბენზინის 25 სინჯი საავტომობილო საწვავის ხარისხის შემოწმების მიზნით. ქ. რუსთავში მოეწყო დამატებით 1 რეკრეაციული ზონა, რეაბილიტირდა 15.4 ათასი $მ^2$ გზის საფარი და მოეწყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის 12 გაჩერება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები ზონაში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ახალი ავტომატური სადგურების განთავსებისთვის და ჰაერის ხარისხის მოდელირების სისტემის დასანერგად. გარემოსდაცვით საკითხებზე გადამზადდა ცენტრალური ზონის დაწყებითი საფეხურის 21 მასწავლებელი.

სამრეწველო სექტორიდან მყარი ნაწილაკებით დაბინძურების პრევენციისთვის საჭიროა აქტიური საზედამხედველო საქმიანობის გაგრძელება. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეთვე დაბინძურების სხვა წყაროებს. ცენტრალური ზონაში ჰაერის აზოტის დიოქსიდის დაბინძურების შესამცირებლად გეგმაში არსებული აქტივობების განხორციელებასთან ერთად აუცილებელია დამატებით აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება ეროვნულ დონეზე. ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია დამატებითი, მათ შორის დონორული დაფინანსების მობილიზება.

შესავალი

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 აგვისტოს N1431 განკარგულებით დამტკიცებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2023-2025 წლების გეგმა ცენტრალური ზონისთვის წარმოადგენს სექტორული მიმართულების პოლიტიკის დოკუმენტს. გეგმა მიზნად ისახავს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას ცენტრალურ ზონაში, რომელიც მოიცავს შემდეგ მუნიციპალიტეტებს: ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის და თვითმმართველ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი. აღნიშნული მიზნის შესაბამისად სამოქმედო გეგმა აერთიანებს ოთხ ამოცანას, რომელთა განხორციელებაზე პასუხისმგებლები არიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებები, სხვა სამთავრობო უწყებები და ქ. რუსთავის, მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია. ეს ამოცანებია:

- ამოცანა 1.1 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება
- ამოცანა 1.2 - ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან დაბინძურების შემცირება
- ამოცანა 1.3 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების სისტემის გაუმჯობესება

- ამოცანა 1.4 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება

წინამდებარე მონიტორინგის ანგარიში მოიცავს სამოქმედო გეგმის ამოცანებისა და აქტივობების შესრულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას 2025 წლის 1 იანვრიდან - 2025 წლის 30 ივნისამდე პერიოდში.

მონიტორინგის ანგარიში შემუშავდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის ატმოსფერული ჰაერის სამმართველოს კოორდინირებით პასუხისმგებელი უწყებებისგან მიღებული სტატუს ანგარიშების საფუძველზე. ანგარიში შესაბამისობაშია „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილებით განსაზღვრულ წლიური ანგარიშის შემუშავების მეთოდოლოგიასთან.

ანგარიშის პროექტი განხილული და შეთანხმებულ იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 31 ოქტომბრის N2-812 ბრძანების საფუძველზე შექმნილი ცენტრალური ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ.

ზოგადი პროგრესი

როგორც უკვე აღინიშნა სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას, რაც გულისხმობს ყველა ძირითადი მავნე ნივთიერების, განსაკუთრებით კი უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკების (PM_{10}, $PM_{2.5}$) საშუალო კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვები ნორმების ფარგლებში მოქცევას.

2025 წლის იანვარ-ივნისში სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი 27 აქტივობიდან მიმდინარეობდა 21 აქტივობის განხორციელება. 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით განხორციელდა სამოქმედო გეგმის აქტივობათა 30% (8 აქტივობა). აგრეთვე, საანგარიშო პერიოდის დასასრულს მეტწილად შესრულდა აქტივობების 30% (8 აქტივობა), ხოლო ნაწილობრივ შესრულდა - 33% (9 აქტივობა). არ დაწყებულა 2 აქტივობის განხორციელება. საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელების პროგრესმა შეადგინა 63%.



ამოცანების ჭრილში განხორციელებული აქტივობების მიხედვით საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა 1.2 ამოცანაში, რომლის აქტივობები 72%-ითაა შესრულებული. აგრეთვე, 1.1 და 1.4 ამოცანების აქტივობები - 66 და 76%-ითაა შესრულებული, ხოლო 1.3 ამოცანას პროგრესი 42%-ს შეადგენს.





ამოცანების ჭრილში განხორციელებული აქტივობების მიხედვით მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებს და სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, რომელთაც თითქმის სრულად შეასრულეს დაგეგმილი აქტივობები. ნაწილობრივაა შესრულებული სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის აქტივობები, რაც ძირითადად განპირობებულია დაფინანსების არარსებობითა და შესაბამისი დონორდული პროექტების განხორციელების გაჭიანურებით/შეჩერებით.





საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ მნიშვნელოვან აქტივობებს შორის აღსანიშნავია ცენტრალურ ზონაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, განხორციელდა 231 საქმიანობის სუბიექტის 248 ინსპექტირება, მათ შორის, 29 ინსპექტირება ქ. რუსთავში. ამასთანავე, ცენტრალური ზონის მუნიციპალიტეტებმა ჩაატარეს 145 ინსპექტირება ამტვერებადი მასალის დამუშავების, განთავსებისა და ტრანსპორტირების წესების ზედამხედველობის მიზნით. საანგარიშო პერიოდში ქ. რუსთავში რეგულარულად მიმდინარეობდა ქუჩების სველი წესით დამუშავება 25 კმ სიგრძეზე. ცენტრალურ ზონის ავტოგასამართი სადგურიდან აღებულ იქნა დიზელის და ბენზინის 25 სინჯი საავტომობილო საწვავის ხარისხის შემოწმების მიზნით და საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე შერჩეულ იქნა ადგილები, სადაც განხორციელდება სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლი.

ქ. რუსთავში განხორციელებული ინფრასტრუქტურული აქტივობებიდან აღსანიშნავია, რომ 2025 წლის პირველ ნახევარში მოეწყო დამატებით 1 რეკრეაციული ზონა, რეაბილიტირდა 15.4

ათასი m^2 გზის საფარი, მოეწყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის 12 გაჩერება და დაირგო 517 ძირი ხე-მცენარე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები ზონაში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ახალი ავტომატური სადგურების განთავსებისთვის და ჰაერის ხარისხის მოდელირების სისტემის დასანერგად. გარემოსდაცვით საკითხებზე გადამზადდა ცენტრალური ზონის დაწყებითი საფეხურის 21 მასწავლებელი.

დეტალური პროგრესი 1.1 ამოცანასთან დაკავშირებით

ამოცანა 1.1 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება

<u>პროგრესი:</u>

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 1.1 ამოცანის 8 აქტივობიდან სრულად განხორციელდა 2 აქტივობა, 3 აქტივობა შესრულდა მეტწილად, ხოლო 3 - ნაწილობრივ, აქტივობების შესრულების პროგრესმა შეადგინა 66%. აქტივობები ძირითადად განხორციელდა ადმინისტრაციული, საბიუჯეტო და დონორული დაფინანსებით. სამოქმედო გეგმის ფარგლებში 1.1 ამოცანის განსახორციელებლად გამოყოფილი 63 164 999 ლარიდან საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 5 516 801 ლარი.



2025 წელსაც გაგრძელდა ცენტრალურ ზონაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში ცენტრალურ ზონაში გზდ-ს მიერ განხორციელდა 231 ობიექტის 248 ინსპექტირება. მათ შორის ქ. რუსთავში, რომელიც წარმოადგენს ცენტრალური ზონის ცხელ წერტილს,

ჩატარდა 25 ობიექტის 29 ინსპექტირება (1.1.3). ზონაში ჩატარდა ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი 4 სახის საქმიანობის მიზნობრივი ინსპექტირება, რომლის ფაგლებშიც შემოწმდა 121 ობიექტი. ამასთანავე, ცენტრალური ზონის მუნიციპალიტეტებმა ჩაატარეს 145 ინსპექტირება ამტვერებადი მასალის დამუშავების, განთავსებისა და ტრანსპორტირების წესების ზედამხედველობის მიზნით.

საანგარიშო პერიოდში 1.1 ამოცანის ფარგლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული აქტივობებიდან აღსანიშნავია, რომ ქ. რუსთავში გზის საფარის მოეწყო 15.4 ათასამდე $მ^2$ ფართობზე, მარნეულის მუნიციპალიტეტში - 1.6 ათასამდე $მ^2$ ფართობზე, ხოლო ბოლნისის მუნიციპალიტეტში - 5.2 ათას $მ^2$ ფართობზე.

ცენტრალური ზონის მუნიციპალიტეტებმა 2025 წელსაც გააგრძელეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152^5-152^9 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტების ზედამხედველობა (1.1.2). აღნიშნული პროცესი საანგარიშო პერიოდში ძირითადად კვლავ ატარებდა პრევენციულ ხასიათს და მოხდა იმ პირების გაფრთხილება/ინფორმირება, რომელიც აწარმოებს ამტვერებადი მასალის დამუშავებას, განთავსებასა და ტრანსპორტირებას.

ქ. რუსთავში მარტის თვიდან რეგულარულად მიმდინარეობდა ქუჩების სველი წესით დამუშავება 25 კმ სიგრძეზე (1.1.5). მარნეულის მუნიციპალიტეტში გაგრძელდა 3 საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც იმუშავებს უფრო სუფთა ენერგიაზე დაფუძნებულ გათბობის სისტემაზე (1.1.8).

<u>რისკები:</u>

ამოცანის განსახორციელებლად აუცილებელია მსხვილი საწარმოო ობიექტების მხრიდან დაწესებული რეგულაციების აღსრულება და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების შესრულება, რაც მოითხოვს აღნიშნული ობიექტების მიერ ინვესტიციების გაღებას.

აქტივობების დონეზე აუცილებელია გაგრძელდეს და რეგულარულად განხორციელდეს მყარი ნაწილაკებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით ცენტრალური ზონის ცხელ წერტილში - ქ. რუსთავში ქუჩების სველი წესით დასუფთავება (1.1.5). ასევე, საჭიროა განხილულ იქნას ინერტული მასალების ამოღებისა და მსხვრევის სექტორში დამატებითი რეგულაციის დაწესების მიზანშეწონილობის საკითხი აღნიშნული სექტორის წარმომადგენლების ჩართულობით (1.1.1). დროულად უნდა მოხდეს ინვესტიციების მოძიება სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საფუძველზე რუსთავის ჭალის ტყის განსავითარებლად (1.1.6).

<u>შემდგომი ნაბიჯები:</u>

2025 წელს გაგრძელდება 1.1 ამოცანის ფარგლებში გეგმით გათვალისწინებული შემდეგი აქტივობის განხორციელება:

- გაგრძელდება სამრეწველო ობიექტების და ამტვერებადი სამშენებლო მასალების შენახვა-დისტრიბუციის პროცესის ინსპექტირება;

- განისაზღვრება და დაწესდება კონკრეტული, სავალდებულოდ შესასრულებელი ქმედებები ინერტული მასალების ამოღებისა და მსხვრევის საქმიანობიდან ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით;
- გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურული და ქ. რუსთავში იაღლუჯის მთის გამწვანების სამუშაოები;
- სამრეწველო ზონის მიმდებარედ ქუჩების სველი წესით დამუშავება განხორციელდება რეგულარულად.

დეტალური პროგრესი 1.2 ამოცანასთან დაკავშირებით

ამოცანა 1.2 - ცენტრალურ ზონაში ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან დაბინძურების შემცირება

<u>პროგრესი:</u>

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 1.2 ამოცანის 9 აქტივობიდან 3 აქტივობა სრულად, 4 - მეტწილად, ხოლო 2 კი ნაწილობრივ შესრულდა. აქტივობების შესრულების პროგრესმა შეადგინა 72%. აქტივობები განხორციელდა ადმინისტრაციული და საბიუჯეტო ხარჯებით. სამოქმედო გეგმის ფარგლებში 1.2 ამოცანის განსახორციელებლად გამოყოფილი 22 156 300 ლარიდან საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 238 775 ლარი.



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია, ქ. რუსთავში მოეწყო დამატებით 1 მწვანე რეკრეაციული სივრცე (1.2.9) და განთავსდა 517 ძირი ხე-მცენარე (1.2.8).

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე შერჩეულ იქნა ადგილები, სადაც განხორციელდება

სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლი (1.2.6). ცენტრალურ ზონის ავტოგასამართი სადგურიდან აღებულ იქნა დიზელის და ბენზინის 25 სინჯი საავტომობილო საწვავის ხარისხის შემოწმების მიზნით (1.2.7).

ქ. რუსთავში ასევე მიმდინარეობდა ფეხით გადაადგილების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სამუშაოები 7 ათას m^2 ფართობზე (1.2.1) და ველობილიკების მოწყობის სამუშაოები 562 m^2 ფართობზე (1.2.2), რომელიც დასრულდება 2025 წლის ბოლომდე. აგრეთვე, მოეწყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის 12 გაჩერება (1.2.3).

<u>რისკები:</u>
აზოტის დიოქსიდის ნორმაზე გადაჭარბებული კონცენტრაციის მიზეზია მოძველებული ავტოპარკი და ავტომობილების მზარდი რაოდენობა. პრობლემის მოსაგვარებლად ცენტრალურ ზონაში განსახორციელებელ აქტივობებთან ერთად საჭიროა გაგრძელდეს დამატებითი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება ეროვნულ დონეზე. ასევე საჭიროა გაგრძელდეს/გაფართოვდეს ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვის გზებზე კონტროლი ურბანულ დასახლებებში და დროულად დაინერგოს სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლი საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ღონისძიებას ავტოტრანსპორტიდან დაბინძურების შესამცირებლად.

<u>შემდგომი ნაბიჯები:</u>
2025 წელს 1.2 ამოცანის ფარგლებში გაგრძელდება გეგმით გათვალისწინებული შემდეგი აქტივობები:

- დაინერგება სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლი საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე და განხორციელდება საავტომობილო საწვავის ხარისხის კონტროლი.
- გაგრძელდება ინფრასტრუქტურული ღონისძიებები ცენტრალურ ზონაში გადაადგილების ალტერნატიული ფორმების განსავითარებლად, რაც მოიცავს ფეხით, ველოსიპედით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით და ელექტრომობილით გადაადგილების მიზნით ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.
- გაგრძელდება მწვანე ინფრასტრუქტურული სამუშაოებიც, რათა შერბილდეს აზოტის დიოქსიდით დაბინძურების შედეგები. კერძოდ, შეიქმნება რეკრეაციული ზონები და განთავსდება მწვანე ნარგავები.

დეტალური პროგრესი 1.3 ამოცანასთან დაკავშირებით

ამოცანა 1.3 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ჰაერის დაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების სისტემის გაუმჯობესება

<u>პროგრესი:</u>

1.3 ამოცანის ფარგლებში 7 აქტივობიდან 2 შესრულდა სრულად, 3 შესრულდა ნაწილობრივ, ხოლო 2 აქტივობის შესრულება არ დაწყებულა. შესრულების პროგრესმა შეადგინა 42%. აქტივობების განსახორციელებლად გათვალისწინებული 3 441 951 ლარიდან საანგარიშო წელს თანხა არ დახარჯულა.



საანგარიშო პერიოდში ევროკავშირის დაფინანსებით გაგრძელდა მოსამზადებელი სამუშაოები ცენტრალურ ზონაში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ახალი ავტომატური სადგურების და გრავიმეტრიული ხელსაწყოების განთავსებისთვის, აგრეთვე ჰაერის ხარისხის მოდელირების სისტემის დასანერგად (1.3.1; 1.3.2; 1.3.3).

ფინანსური რესურსების დეფიციტმა და შესაბამისი ექსპერტიზის დეფიციტმა მნიშვნელოვნად შეზღუდა/გადაავადა ამოცანით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა. ამ მიმართულებით პროგრესის მიღწევა დამოკიდებულია საერთაშორისო დონორული დაფინანსების მოპოვებასა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობაზე.

<u>რისკები:</u>

ვინაიდან 1.3 ამოცანის ფარგლებში გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება დამოკიდებულია დონორულ დახმარებაზე, საჭიროა შესაბამის მხარდაჭერის პროექტებში გეგმით გათვალისწინებული აქტივობების პრიორიტიზაცია და მათი დროული განხორციელება. აგრეთვე, დამატებითი დაფინანსების მოძიება და პასუხისმგებელი უწყებების შესაძლებლობების გაძლიერება.

<u>შემდგომი ნაბიჯები:</u>

2025 წელს 1.3 ამოცანის ფარგლებში დონორული მხარდაჭერით განხორციელდება გეგმით გათვალისწინებული შემდეგი აქტივობები:

- გაფართოვდება ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელი და ავტომატური სადგურები განთავსდება ქ. ბოლნისში, ქ. გორსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ თაზაქენდში;
- შემუშავდება ცენტრალური ზონის ჰაერის ხარისხის მოდელი;

ქ. რუსთავში მყარი ნაწილაკებით დაბინძურების წილის დადგენის შესახებ კვლევის ჩატარება და ჰაერის დაბინძურების მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების ინდიკატორების კომპენდიუმის შემუშავება დამოკიდებულია დაფინასების მოძიებაზე.

დეტალური პროგრესი 1.4 ამოცანასთან დაკავშირებით

ამოცანა 1.4 - ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება

პროგრესი:

ამოცანა 1.4-ის ფარგლებში დაგეგმილი 3 აქტივობიდან 1 სრულად განხორციელდა, 1 მეტწილად შესრულდა, ხოლო 1 - ნაწილობრივ. აქტივობების შესრულების პროგრესმა კი შეადგინა 76%. აქტივობები ძირითადად განხორციელდა ადმინისტრაციული და საბიუჯეტო დაფინანსებით, გამოყოფილი 32 000 ლარიდან საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 5 300 ლარი.



საანგარიშო პერიოდში პროგრამის „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში“ ფარგლებში დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის ჩატარდა ტრენინგებ-კურსი და ცენტრალური ზონიდან გადამზადდა 21 მასწავლებელი, რომელთაც თითოეულს გადაეცა შესაბამისი სახელმძღვანელო.

რისკები:

საზოგადოების სამიზნე ჯგუფებში (მოსწავლეები, მასწავლებლები, აღმზრდელები) გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისთვის აუცილებელია ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების სრულად განხორციელება.

შემდეგი ნაბიჯები

2025 წლის მეორე ნახევარში ცენტრალურ ზონაში მცხოვრები სამიზნე ჯგუფებისთვის გაგრძელდება გარემოსდაცვითი ცნობიერების დონის ამაღლების გეგმით გათვალისწინებული აქტივობები.

გამოწვევები და რეკომენდაციები

ცენტრალურ ზონაში მყარი ნაწილაკებით ჰაერის დაბინძურების პრობლემის მოგვარებისთვის მთავარ გამოწვევას ზონაში არსებული მსხვილი საწარმოო ობიექტების მიერ ჰაერდაცვითი მოთხოვნების არასათანადოდ შესრულება წარმოადგენს, რაც მოიცავს აირმტვერდამჭერი მოწყობილობების გაუმართაობას-გამოუყენებლობას, ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ვალდებულებების შეუსრულებლობას, საწარმოო ტერიტორიაზე არაორგანიზებული გაფრქვების წყაროების არსებობას და ამტვერებადი ნედლეულისა და საწარმოო ნარჩენების ღია ცის ქვეშ დროებითი ან გრძელვადიანი განთავსებას. აუცილებელია საწარმოო პროცესების მოწესრიგება, რისი ხელშემწყობია აქტიური საზედამხედველო ღონისძიებები და თვითმონიტორინგის შედეგების პროაქტიული მონიტორინგი, რაშიც მთავარი როლი სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს აქვს.

მნიშვნელოვანია დროულად განისაზღვროს სავალდებულოდ შესასრულებელი ქმედებები ინერტული მასალების ამოღებისა და მსხვრევის საქმიანობიდან ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით, რათა შესაბამისმა საქმიანობის სუბიექტებმა მოასწრონ საჭირო ზომების მიღება და ახალი ვალდებულებების განსახორციელებლად. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს მყარი ნაწილაკებით დაბინძურების სხვა წყაროებსაც. ამ მხრივ მისასალმებელია ქ. რუსთავში ქუჩების სველი წესით რეგულარული დასუფთავების პროცესის აღდგენა, რადგანაც წლის მშრალ პერიოდებში მნიშვნელოვანი შემარბილებელი ღონისძიებაა მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შესამცირებლად. ამასთან, ამტვერებადი სამშენებლო მასალების შენახვა-დისტრიბუციის პროცესის ზედამხედველობა კვლავაც წარმოებს ძირითადად ინფორმირების/გაფრთხილების ღონისძიების სახით. მომდევნო წლებში, საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნას კანონმდებლობით განსაზღვრული იძულების ღონისძიებები, განსაკუთრებით მყარი ნაწილაკებით დაბინძურების ცხელ წერტილებში, რათა ზედამხედველობის შედეგად მიღწეულ იქნას დაბინძურების პრევენცია.

კიდევ ერთი გამოწვევაა, ცენტრალური ზონის ქალაქებში ჰაერში აზოტის დიოქსიდის კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმაზე გადაჭარბება, რის მოსაგვარებლადაც საჭიროა დამატებითი უფრო ამბიციური აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება ეროვნულ დონეზე.

ჰაერის ხარისხის შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით 1.3 ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად აუცილებელია დაფინანსების მოძიება და შესაბამისი დონორული მხარდაჭერის პროექტების დროული განხორციელება.

კონსოლიდირებული სტატუსანგარიში

#	აქტივობა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება	შესრულების ვადა	სტატუსი	პროგრესი	დეტალური პროგრესი	მოკლე აღწერა	ფერი	ბიუჯეტი 2023-2025 (₾)	ბიუჯეტის შესრულება 2025	გამოწვევები, რისკები, რეკომენდაციები (მოკლე აღწერა)
1.1.1	გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული იმ საქმიანობების იდენტიფიცირება, რომლებიც დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ და მათთვის კონკრეტული, სავალდებულოდ შესასრულებელი ქმედებების დადგენა მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირების მიზნით	დამტკიცებული ნორმატიული აქტი „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამანტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი	2024 წლის II კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	50%	50%	ინერტული მასალების ამოღებისა და მსხვრევის შედეგად ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით, შემუშავებულია „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამანტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი. მიმდინარეობს პროექტის შიდა განხილვა.		ადმინისტრაციული ხარჯი	ადმინისტრაციული ხარჯი	
1.1.2	მშენებლობისა და ამტვერებადი სამშენებლო მასალების შენახვა-დისტრიბუციის პროცესში მყარი ნაწილაკების გაფრქვევების შემცირების მიზნით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობის გააქტიურება	ჩატარებული სულ მცირე 90 ინსპექტირება ქ. რუსთავში	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	განხორციელდა	100%	100%	მუნიციპალური ინსპექციის უფლებამოსილებას განეკუთვნება ასკ 152 (6) და 152 (7) პრიმა მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტებზე რეაგირება. აღნიშნული ფაქტების შემცირების მიზნით, სამსახურმა ქალაქ რუსთავის მასშტაბით უზრუნველყო პრევენციული ღონისძიებების გატარება, კერძოდ: განხორციელდა ყველა იმ ფიზიკური და იურიდიული პირების გაფრთხილება, რომლებიც აწარმოებენ ამტვერებადი მასალის ტრანსპორტირებას, ამტვერებადი მასალის შეფუთვის გარეშე განთავსებას. სულ ჩატარდა 70 ინსპექტირება.		ადმინისტრაციული ხარჯი	ადმინისტრაციული ხარჯი	
		ჩატარებული სულ მცირე 36 ინსპექტირება	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია				100%	საანგარიშო პერიოდში ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობისა და ამტვერებადი სამშენებლო				

		ბოლნისის მუნიციპალიტეტში						მასალების შენახვა-დისტრიბუციის პროცესში მყარი ნაწილაკების გაფრქვევის შემცირების მიზნით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე ჩატარდა 30 ინსპექტირება.				
		ჩატარებული სულ მცირე 45 ინსპექტირება მარნეულის მუნიციპალიტეტში	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია				100%	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის განყოფილების მიერ, მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებულ დასახლებებში, მშენებლობისა და ამტვერებადი სამშენებლო მასალების შენახვა-დისტრუბუციის პროცესში მყარი ნაწილაკების გაფრქვევების შემცირების მიზნით, დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე, განხორციელდა 45 ინსპექტირება, რომელიც იყო პრევენციული ხასიათის.				
1.1.3	ცენტრალურ ზონაში არსებული საწარმოების ინსპექტირების, მათ შორის შემოწმებების რაოდენობის გაზრდა	ცენტრალურ ზონაში წელიწადში ჩატარებული სულ მცირე 200 ინსპექტირება, მათ შორის ქ. რუსთავში ჩატარებული სულ მცირე 80 ინსპექტირება ცენტრალურ ზონაში წელიწადში ჩატარებული „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მტავრობის 2014 წლის 3 იანვრის N17 დადგენილებას დაქვემდებარებული სულ მცირე 2 სექტორის საქმიანობის სუბიექტების მიზნობრივი ინსპექტირება	სსდ გარემოსდაცვითი ზედამხდველობის დეპარტამენტი	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	91%	91%	2025 წლის 6 თვეში ცენტრალურ ზონაში განხორციელდა ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი 231 ობიექტის 248 ინსპექტირება, მათგან, განხორციელდა ქ. რუსთავში განთავსებული 25 ობიექტის 29 ინსპექტირება. 2025 წლის 6 თვეში განხორციელდა გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული ბენზინგასამართი სადგურების (25), ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი ობიექტების (24), ბეტონის ან/და ბეტონის ნაკეთობების საწარმოების (41) ავტომობილების ტექნიკური მომსახურების ობიექტების (31) მიზნობრივი ინსპექტირება.		ადმინისტრაციული ხარჯი	ადმინისტრაციული ხარჯი	

1.1.4	ცენტრალურ ზონაში გზის საფარის გაუმჯობესება	ახლად დაგებული და აღდგენილი გზები 134,000 m^2 ფართობზე ქ. რუსთავში	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	76%	64%	საანგარიშო პერიოდში ქ. რუსთავში მიმდინარეობდა საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები შემდეგ ლოკაციებზე: ჭყონდიდელის დასახლება (გიორგაძე, ჯავახიშვილი, გრანელი) და ზედგენიძის ქუჩა, რუსთაველის N13 მ/ტ, სასაფლაოს ხიდის მ/ტ, გაგარინის ქუჩის მ/ტ მშვიდობის ქუჩა, მცხეთის ქუჩა, აღმაშენებლის ქუჩა, პუშკინის და ქუჩიშვილის ქუჩების კვეთა, მაჩაბელის N6 მ/ტ, მე-16 და მე-12 მიკრორაიონებს შორის, სანაპიროს ქუჩა, ვაჟა ფშაველას 1 და 2 გასასვლელებს შორის. პროექტების ფარგლებში ჯამში მოწყო გზის საფარი 15 393 მ2 ფართობზე.		14100000	1850000	
		ახლად დაგებული და აღდგენილი გზები 40,000 m^2 ფართობზე ბოლნისის მუნიციპალიტეტში	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია				100%	საანგარიშო პერიოდში ბოლნისის მუნიციპალიტეტში დაიგო საავტომობილო გზა 5 200 m^2 ფართობზე.		7284800	834424.22	
		ახლად დაგებული და აღდგენილი გზები 62,000 m^2 ფართობზე მარნეულის მუნიციპალიტეტში	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია				87%	2025 წლის 6 თვის მონაცემებით, მარნეული მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და დასრულდა შემდეგ ორ სოფელში გზების რეაბილიტაციის პროცესი: იმირი - 532 მ2; სოფელი ალგეთი - 1057 მ2. ჯამში რებილიტირდა 1589 მ2 გზის საფარი.		31197700	1441136	
1.1.5	ქ. რუსთავში სველი წესით დასუფთავებული ქუჩების სიგრძის გაზრდა	ქ. რუსთავში ყოველწლიურად სველი წესით დასუფთავებული ქუჩები სულ მცირე 5,000 კმ სიგრძეზე	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	52%	52%	სველი წესით ქუჩების დამუშავების პროცესი 2025 წლის მარტიდან მიმდინარეობდა რეგულარულად 25 კმ სიგრძეზე შემდეგ ქუჩებზე: მშვიდობის, გაგარინის, თბილისის ქ., ლეონიძის ქ. (სკვერის ირგვლივ), ქუთაისის ქ., მე-18 და მე-19 მრ-ები, შარტავას გამზ (სასტუმროდან შემოსასვლელამდე), ლებანიძის ქ., ლომოურის ქ., ძველი და ახალი რუსთავის დამაკავშირებელი ხიდი, აფხაზეთის და ლომოურის ქუჩების დამაკავშირებელი ქუჩა. ჯამში დამუშავდა ქუჩები სულ მცირე 2800 კმ სიგრძეზე.		75000	13506	2024 წელს გადმოგზავნილი ქუჩების ჩამონათვალიდან ამოღებულია მოდებაძის ქუჩა, იქიდან გამომინარე, რომ მიმდინარეობს რეაბილიტაცია.
1.1.6	რუსთავის ჭალის ტყის აღდგენის გეგმის მომზადება	მომზადებულია რუსთავის ჭალის ტყის აღდგენის გეგმა	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ბიომრ	2023 წლის IV კვარტალი	განხორციელდა დაგვიანებით	100%	100%	აქტივობა განხორციელდა 2024 წელს.		59999	0	

			ავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი									
1.1.7	ქ. რუსთავის მომიჯნავე იაღლუჯის მთის ფერდობის ნაწილობრივი გატყიანებისთვის ნერგების დარგვა	დარგულია სულ მცირე 1000 ძირი ხე-მცენარე	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	12%	12%	საანგარიშო პერიოდში იაღლუჯის მთის ფერდობზე ხე-მცენარეების დარგვა არ მომხდარა.		31500		
1.1.8	მარნეულის მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებულ / აშენებულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში (საბავშვო ბაგა-ბაღებში) შეშის მოხმარებიდან ამოღება უფრო სუფთა ენერგიის გამოყენების გზით	მარნეულის მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებულია / აშენებულია 3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (საბავშვო ბაგა-ბაღი) და დამონტაჟებულია უფრო სუფთა ენერგიაზე (მაგ. ბუნებრივ გაზზე, თხევად საწვავზე) მომუშავე გათბობის სისტემა	საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	50%	50%	საანგარიშო პერიოდში მარნეულის მუნიციპალიტეტის ქ. მარნეულში, სოფელ წერეთელში და სოფელ შულავერში მიმდინარეობდა 180 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღების მშენებლობის სამუშაოები.		10416000	1377734.61	პროექტირების დროს მუნიციპალიტეტის მხრიდან მოხდა ადგილმონაცვლეობა, შესაბამისად, დაგვიანდა პროექტების ჩაბარების თარიღი. საჭირო გახდა სამშენებლო სამუშაოების ვადის გაზრდა. კონტრაქტორი კომპანიის მიერ სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობა ნელი პროგრესით.
1.2.1	ფეხით გადაადგილების დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა ცენტრალურ ზონაში	განახლებული ტროტუარი 60,000 m^2 ფართობზე ქ. რუსთავში	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	39%	35%	საანგარიშო პერიოდში ქ. რუსთავში სხვადასხვა ლოკაციაზე, ჯამში 7014 მ2 ფართობზე მიმდინარეობდა ტროტუარების საფუძვლების მოწყობის სამუშაოები, რის შემდგომაც დაგეგმილია ფილების დაგება. კერძოდ, სამუშაოები მიმდინარეობდა მოდებაძის ქუჩაზე (2500 მ2), მეგობრობის ქ. N22-ის მიმდებარედ (208 მ2), მე-19 მიკრორაიონში N23 კორპუსის მიმდებარედ (562 მ2), მესხიშვილის ქ. N13-14-ისა და სტამბულის ბაზრის მიმდებარედ (1800 მ2), შარტავას ქ. N6, N8 და N12-ის მიმდებარედ (1800 მ2), თოდრიას ქუჩაზე (25.7 მ2), მესხიშვილის და თოდრიის წრის მიმდებარედ (118.9 მ2).		4400000	დაზუსტდება მიმდინარე წლის ბოლოს	

		განახლებული ტროტუარი 4,000 m^2 ფართობზე ბოლნისის მუნიციპალიტეტში	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია				100%	საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ტროტუარის მოწყობა 650 m^2 ფართობ ტერიტორიაზე.				
1.2.2	ველოსიპედით გადაადგილების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ქ. რუსთავში	მოწყობილი ახალი ველობილიკები 6,500 m^2 ფართობზე მოწყობილი ველოსიპედის პარკირების სულ მცირე 45 ახალი პუნქტი	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	51%	51%	საანგარიშო პერიოდში ქ. რუსთავში ლეონიძის და ტაშკენტის ქუჩების კვეთიდან აღმაშენებლის ქუჩის კვეთამდე (450 მ2) და შარტავას გამზირზე (562 მ2) მიმდინარეობდა ველობილიკების საფუძვლების მოწყობის სამუშაოები.		705000	დაზუსტდება მიმდინარე წლის ბოლოს	
1.2.3	ცენტრალურ ზონაში მუნიციპალური ავტობუსების გაჩერებების რეაბილიტაცია/კეთილმოწყობა	დამატებით რეაბილიტირებული/კეთილმოწყობილი სულ მცირე 58 გაჩერება ქ. რუსთავში	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	95%	95%	ქალაქ რუსთავში 2025 წელს დაგეგმილია 41 გაჩერების რეაბილიტაცია. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ავტობუსის 12 გაჩერების რეაბილიტაცია / მონტაჟი.		200000	95000	გაჩერებების რეაბილიტაციის/მონტაჟის პროცესში მუნიციპალური ორგანოები აწყდებოდნენ შემდეგ გამოწვევებს: 1) მიწისქვეშა ან მიწისზედა საკომუნიკაციო გაყვანილობები (ძირითადად წყალსადენი ან გაზსადენი) იმ ტერიტორიაზე, სადაც უნდა დაიდგას გაჩერება; 2) ვანდალიზმი;
		დამატებით რეაბილიტირებული/კეთილმოწყობილი 3 გაჩერება ბოლნისის მუნიციპალიტეტში	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია				100%	საგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ავტობუსის 1 გაჩერების მოწყობა 44.1 მ2 ფართობზე ბოლნისის მუნიციპალიტეტში.		60000	19612.24	
		დამატებით რეაბილიტირებული/კეთილმოწყობილი 2 გაჩერება მარნეულის მუნიციპალიტეტში	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია				100%	საგარიშო პერიოდში ავტობუსის გაჩერებების რეაბილიტაცია მარნეულის მუნიციპალიტეტში არ განხორციელებულა.		40000		
1.2.4	ელექტრომობილების დამტენი ინფრასტრუქტურის მოწყობა ქ. რუსთავში	დამატებით განთავსებული 8 დამტენი მოწყობილობა	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	25%	25%	საანგარიშო პერიოდში აქტივობის ფარგლებში ღონისძიებები არ განხორციელებულა.		200000		
1.2.5	ქ. რუსთავში ავტომობილების გამონაბოლქვის გზებზე კონტროლის დანერგვა	აღჭურვილი 1 საპატრულო ეკიპაჟი; შეძენილი 1 ავტოსატრანსპორტო საშუალება და გამონაბოლქვის მზომი 1 ხელსაწყო; დატრენინგებული	სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	2023 წლის IV კვარტალი	განხორციელდა	100%	100%	აქტივობა განხორციელდა 2023 წელს.				

		გზდ-ს 3 თანამშრომელი										
1.2.6	ცენტრალურ ზონაში საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კონტროლის დანერგვა	გახსნილი სულ მცირე ერთი შემოწმების პუნქტი	სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	2025 წლის II კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდ	55%	55%	სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტომ (შემდგომში: სააგენტო), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეგიონალურ სამსახურებთან კოორდინაციაში, შეარჩია სტრატეგიული ადგილები საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე, სადაც უნდა განხორციელდეს „გზისპირა ზონებში" ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირება. ამ ეტაპზე, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, მიმდინარეობს ქონების სააგენტოსთვის გადმოცემის პროცედურები. თავის მხრივ, საგზაო ინსპექტირებისას სხვა კომპონენტებთან ერთად, განხორციელდება გამონაბოლქვის კანონმდებლობით დაშვებული ნორმების კონტროლიც.		2500000	0	
1.2.7	საავტომობილო საწვავის ხარისხის კონტროლის განხორციელება ცენტრალურ ზონაში	ცენტრალური ზონის ფარგლებში ყოველწლიურად აღებული საწვავის (ბენზინი, დიზელი) სულ მცირე 20 სინჯი და ჩატარებული ლაბორატორიული ანალიზი	სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	2025 წლის IV კვარტალი	განხორციელდა	100%	100%	ცენტრალური ზონის ფარგლებში საავტომობილო ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შერჩევითი წესით განხორციელდა ავტოგასამართი სადგურების რეზერვუარებიდან ბენზინისა და დიზელის საწვავის სინჯების (სულ 25 სინჯი) აღებისა და ლაბორატორიული კვლევის პროცედურები.		120000	36310	
1.2.8	ცენტრალურ ზონაში ახალი მწვანე ნარგავების განთავსება	ქ. რუსთავში დარგული 3,350 ძირი ხე-მცენარე	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდ	86%	100%	ქ. რუსთავში, სხვადასხვა ლოკაციაზე, 2025 წლის I და II კვარტალში დაირგო 517 ძირი ხე-მცენარე შემდეგ ლოკაციებზე: ვაჟა ფშაველას სკვერი, რუსთავის შემოსასვლელი, ქალაქის ცენტრალური შუა გამყოფი ზოლი (მეგობრობის და შარტავას გამზ.), კულტურის და დასვენების პარკი, ფიროსმანის ქ., ხანძთელის ქ., მაჩაბლის სკვერი, რუსთაველის ქ. (მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მ/ტ).		167500	0	ნერგები გამოყვანილი იყო ადგილობრივი სანერგედან, ამიტომაც ბიუჯეტის ხარჯვა არ მომხდარა.
		ბოლნისის მუნიციპალიტეტში დარგული 1,000 ძირი ხე-მცენარე	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია				30%	საანგარიშო პერიოდში ბოლნისის მუნიციპალიტეტში ხე-მცენარეების დარგვა არ განხორციელებულა.		25000	0	

		მარნეულის მუნიციპალიტეტში დარგული 500 ძირი ხე-მცენარე	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია				100%	მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2025 წელს ხე-მცენარეების დარგვა არ მომხდარა		20000	0	
1.2.9	ცენტრალურ ზონაში ახალი რეკრეაციული ზონების შექმნა და არსებული რეკრეაციული ზონების რეაბილიტაცია	ქ. რუსთავში მოწყობილი სულ მცირე 3 ახალი რეკრეაციული ზონა და რეაბილიტირებული სულ მცირე 4 რეკრეაციული ზონა	ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია	2025 წლის IV კვარტალი	განხორციელდა	100%	100%	საანგარიშო პერიოდში ქ. რუსთავში მაჩაბელის ქუჩაზე N6-ის მიმდებარედ მოეწყო მწვანე მოსასვენებელი სივრცე.		11000000	87852.6	
		მარნეულის მუნიციპალიტეტში მოწყობილი და რეაბილიტირებული სულ მცირე 6 რეკრეაციული ზონა	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია				100%	საანგარიშო პერიოდში მარნეულის მუნიციპალიტეტში რეკრეაციული ზონების მოწყობა-რეაბილიტაცია არ განხორციელებულა.		2605000		
1.3.1	ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ავტომატური მონიტორინგის ქსელის გაფართოება	განთავსებული სულ მცირე 4 ახალი ავტომატური სადგური (ქ. რუსთავში, ქ. ბოლნისში, ქ. გორში და სოფ. თაზაქენდში)	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	40%	40%	ევროკავშირის პროექტის „ჰაერის ხარისხი მოქალაქეთა უკეთესი ჯანმრთელობისთვის“ ფარგლებში გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგურების შესაძენად გამოცხადებულ ტენდერში. საანგარიშო პერიოდში ასევე გაგრძელდა ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ახალი ავტომატური სადგურის განთავსებისთვის მოძიებული ადგილების (ქ. ბოლნისში, გორში და სოფ. თაზაქენდში) სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს კუთვნილებაში გადმოცემის ღონისძიებები.		2140196	0	
1.3.2	ცენტრალურ ზონაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორნგის გრავიმეტრული ხელსაწყოების რაოდენობის გაზრდა	ცენტრალურ ზონაში განთავსებული სულ მცირე 4 ახალი გრავიმეტრული ხელსაწყო (რუსთავში, ბოლნისში, გორში და თაზაქენდში)	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	40%	40%	ევროკავშირის პროექტის „ჰაერის ხარისხი მოქალაქეთა უკეთესი ჯანმრთელობისთვის“ ფარგლებში გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგურების შესაძენად გამოცხადებულ ტენდერში. ტენდერი ითვალისწინებს გრავიმეტრული ხელსაწყოების შესყიდვასაც.		781662	0	

1.3.3	ცენტრალური ზონის ჰაერის ხარისხის მოდელის შემუშავება	შემუშავებულია ცენტრალური ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მოდელი	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	15%	15%	ევროკავშირის პროექტის "ჰაერის ხარისხი მოქალაქეთა უკეთესი ჯანმრთელობისთვის" ფარგლებში 2025 წლის მარტში საქართველოში პირველი მისიის დროს პროექტის ექსპერტებმა შეაგროვეს ინფორმაცია საქართველოში ჰაერის ხარისხთან დაკავშირებული ამჟამად არსებული მონაცემების და მოდელების შესახებ. შეგროვებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე მომზადდა ანგარიშის სამუშაო ვერსია, რომელშიც განსაზღვრულია მოდელირების სისტემის დანერგვისა და განხორციელებისთვის საჭირო გამოთვლითი რესურსებისა და პერსონალის საჭიროებები		100000	0	გამოწვევას წარმოადგენს ჰაერის ხარისხის მოდელირების სფეროში კვალიფიკაციის ნაკლებობა, რისთვისაც საჭიროა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტიების გადამზადება. ასევე, აქტივობის განხორციელება დამოკიდებულია დონორული დაფინანსების უზრუნველყოფასა და საერთაშირისო ექსპერტების მოძიებაზე.
1.3.4	ქ. რუსთავში მყარი ნაწილაკებით დაბინძურების წილის დადგენის შესახებ კვლევის ჩატარება	ჩატარებული კვლევა ქ. რუსთავში მყარი ნაწილაკებით დაბინძურების წილის დადგენის შესახებ	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	2025 წლის IV კვარტალი	არ დაწყებულა	0%	0%	აქტივობის განხორციელება არ დაწყებულა.		200000	0	შეზღუდული ფინანსური რესურსებისა და კვალიფიკაციის ნაკლებობის გამო აქტივობის განხორციელება დამოკიდებულია დონორული დაფინანსების მოპოვებასა და საერთაშირისო ექსპერტების მოძიებაზე.
1.3.5	ინდიკატორული მონიტორინგის დამატებითი პუნქტების ამოქმედება	ამოქმედებულია ინდიკატორული მონიტორინგის სულ მცირე 2 ახალი პუნქტი	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	2023 წლის IV კვარტალი	განხორციელდა	100%	100%	აქტივობა განხორციელდა 2023 წელს.				
1.3.6	ქ. რუსთავის მოსახლეობის ექსპოზიციის შეფასება მავნე ნივთიერებების (PM10, PM2.5, NO2)	შემუშავებული კვლევის პროტოკოლი და ჩატარებული კვლევა	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი	2024 წლის II კვარტალი	განხორციელდა დაგვიანებით	100%	100%	აქტივობა განხორციელდა 2024 წელს.		208000	0	

	ჭარბი კონცენტრაციებისადმი		ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი									
1.3.7	ჰაერის დაბინძურების მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების ინდიკატორების კომპენდიუმის შემუშავება	კომპენდიუმი დამტკიცებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაიდლაინის სახით	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	2025 წლის IV კვარტალი	არ დაწყებულა	0%	0%	აქტივობის განხორციელება არ დაწყებულა.		10000	0	აქტივობის შესრულება განსაზღვრულია მიმდინარე წელს (2025) შესაბამისი დაფინანსების არსებობის შემთხვევაში
1.4.1	გარემოსდცვითი, მათ შორის ჰაერის დაცვის საკითხებზე საინფორმაციო და საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელება	ჩატარებული სულ მცირე 10 ღონისძიება, მ.შ. 6 შეხვედრა და 4 სხვა სახის აქტივობა	სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა	40%	40%	საანგარიშო პერიოდში აქტივობის ფარგლებში ღონისძიებები არ განხორციელებულა.		12000	0	
1.4.2	ჰაერის დაცვის თემატიკასთან დაკავშირებული საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება	დაბეჭდილი და გავრცელებული 1000 ცალი საინფორმაციო მასალა	სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	2025 წლის IV კვარტალი	მიმდინარე - მეტწილად შესრულდა	89%	89%	პროგრამის „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში“ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა ჩაატარა ტრენინგებ-კურსი მიმდინარე წლის მარტში დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის. ჯამში ცენტრალური ზონიდან გადამზადდა 21 მასწავლებელი, რომელთაც თითოეულს გადაეცა შესაბამისი სახელმძღვანელო.		10000	2100	
1.4.3	გარემოსდაცვით საკითხებზე, მათ შორის ჰაერის დაბინძურების თემაზე ტრენინგების ჩატარება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის	ჩატარებული 5 ტრენინგი	სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	2025 წლის IV კვარტალი	განხორციელდა	100%	100%	პროგრამის „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში“ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა ჩაატარა ტრენინგ-კურსი მიმდინარე წლის მარტში დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის. ჯამში ცენტრალური ზონიდან გადამზადდა 21 მასწავლებელი.		10000	3200	